სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 9 23 0001099514

07/09/2023

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდების მიმდინარეობაზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით, მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, ,,სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების განრიგის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 28 ივლისის MES 4 23 0000938527 ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ,,სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების განრიგის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 28 ივლისის MES 4 23 0000938527 ბრძანების საფუძველზე, უნივერსიტეტის საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში მიმდინარე სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდების მიმდინარეობაზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით, შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- **ზურაბ გასიტაშვილი** - რექტორის მოადგილე;
- **კარლო კოპალიანი** - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი);
- **დავით თავხელიძე** - მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსი;
- **კონსტანტინე ბასილაშვილი** - რექტორის მრჩეველი;
- **ლავრენტი გუდავაძე -** რექტორის მრჩეველი;
- **დავით მახვილაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

- **თამაზ ურთმელიძე –** შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი;
- **ბექა მაისურაძე** - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- **თამარ წერეთელი** - სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი;
- **გიორგი აბრამიშვილი** - სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ხათუნა ლეჟავა** - მაგისტრატურისა და დოქტორანტურის განყოფილების უფროსი;
- **უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის დეკანი.**

2. მონიტორინგის ჯგუფმა მუშაობა დაიწყოს 2023 წლის 08 სექტემბრიდან და დაასრულოს 2023 წლის 12 სექტემბრამდე.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლევან კლომიაშვილს.
4. უნივერსიტეტის საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში მიმდინარე სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებ გამოცდებზე წესრიგის უზრუნველყოფა დაევალოს სტუ-ის დაცვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტს (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვლასი არჩუაძე);
5. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებები / სსიპ საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი / რექტორატი
რექტორი
დავით გურგენიძე